

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ელექტრონულ სისტემაში ვალუტით ვაჭრობის შუადღის სესიაზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციათა განხორციელების წესები

დამტკიცებულია თბსბ-ის სამეთვალყურეო
საბჭოს მიერ 30 მაისის 2007 წ. ოქმით
თბსბ-ის საბჭოს თავმჯდომარე: თ. ჟორჟოლიანი

თავი 1. ძირითადი დებულებები

წინამდებარე წესები არეგულირებს თბსბ-ის მიერ ორგანიზებული ელექტრონული ვაჭრობის სისტემაში წევრ-ბანკებს შორის შუადღის სავალუტო სესიაზე შემხვედრი განაცხადების პრინციპზე დაყრდნობილ და მრავალფასიანი მეთოდით წარმოებულ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოების პროცესს, მოვაჭრეთა შორის ვალუტის ყიდვის ან გაყიდვისას ანგარიშსწორების პირობებს. თბსბ უზრუნველყოფს სისტემის სათანადო და შეუფერხებელ მუშაობას, აგრეთვე, სისტემაში წარდგენილი განაცხადებისა და რეგისტრირებული გარიგებების შესაბამისად ვაჭრობის მონაწილე ბანკ-დილერებისაგან დელეგირებული საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის მომზადების უფლებების საფუძველზე ანგარიშსწორების პროცედურის განხორციელებას.

თავი 2. ვაჭრობის მონაწილენი და ვაჭრობაზე დაშვების პროცედურა

საბირჟო ელექტრონული ვაჭრობის შუადღის სესიაში მონაწილეობის უფლება საკუთარი სურვილისამებრ ენიჭებათ სავალუტო სექციის წევრ ბანკებს. ამასთან, შუადღის სესიაში მონაწილეობისათვის ბანკები იხდიან საწევრო გადასახადის სახით წლიურ მოსაკრებელს.

თავი 3. ვაჭრობის საგანი

ვაჭრობის საგანს წარმოადგენს თბსბ-ის დირექტორატის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტები ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში.

თავი 4. განაცხადის წარდგენა და გარიგების რეგისტრაციის პროცედურა

4.1. ვაჭრობის დაწყება და შესაბამისად განაცხადების წარდგენა სავალუტო სისტემაში იწყება ყოველი სამუშაო დღის 1230 საათიდან.

4.2. განაცხადის გაკეთებისას დილერმა უნდა მიუთითოს სავალუტო ლოტების მოცულობა და ოპერაციის სახე, ანუ დააფიქსიროს უცხოური ვალუტის ყიდვისა თუ გაყიდვის განაცხადი.

4.3. სავალუტო სესიის ხანგრძლივობაა 3 საათი 1530 საათამდე.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური მიზეზების გამო ვაჭრობის მონაწილე ვერ ახერხებს სავალუტო სისტემაში განაცხადის გაკეთებას, მაშინ იგი ტელეფონით უკავშირდება თბსბ-ის სავალუტო და საანგარიშსწორებო განყოფილებას საკუთარი განაცხადის სისტემაში შეტანის მიზნით. ანალოგიურად ხდება სავალუტო სესიის მსვლელობისას ტექნიკური ხარვეზების შემთხვევაში ვაჭრობის მონაწილის მიერ სავალუტო სისტემაში ჩართვა.

4.5. სავალუტო სესიის მსვლელობისას ვაჭრობის მონაწილეებს შეუძლიათ თბსბ-ის

სავაჭრო და საანგარიშსწორებო განყოფილებას მიაწოდონ დამატებითი განაცხადები. ნებისმიერი განაცხადი, რომელიც მიღებულია ბირჟის ელექტრონული სავაჭრო სისტემის მიერ აუთენტიკაციის პროცედურის დაცვით, ითვლება უფლებამოსილად, იმისდა მიუხედავად, ეთანხმება თუ არა ამ განაცხადს ვაჭრობის მონაწილე. შესაბამისად, მიღებული განაცხადის შესრულების შემთხვევაში განაცხადის წარმდგენს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება წინამდებარე წესების შესაბამისად.

4.6. ვაჭრობის ჩატარების პროცედურა და გარიგების დადების მექანიზმის აღწერა:

ა) დილერები წარმოადგენენ ერთჯერად განაცხადებს ვალუტების ყიდვასა და გაყიდვაზე, ცალკეული განაცხადების სახეობის მიხედვით (ყიდვა ან გაყიდვა), ვალუტების რაოდენობისა და კურსის მითითებით.

ბ) განაცხადების დაკმაყოფილება ხორციელდება შუადღის სავაჭრო სესიის დროს ყიდვა-გაყიდვაზე გარიგებების დადების მეშვეობით.

გ) სავაჭრო სისტემაში წარდგენილი განაცხადების შესრულება დაშვებულია ნაწილობრივ (სტანდარტული ლოტის გათვალისწინებით).

დ) თუ გარიგების დადების დროს ხორციელდება წარდგენილი განაცხადის მხოლოდ ნაწილობრივი შესრულება, მაშინ განაცხადის შეუსრულებელი ნაწილი რჩება რიგში ცალკე გაკეთებული განაცხადის სახით.

ე) თუ განაცხადის გაკეთების მომენტში მისი დაკმაყოფილება შესაბამისი თანხვედრი განაცხადის არარსებობის გამო შეუძლებელია, მაშინ იგი დგება შესასრულებელი განაცხადების რიგში.

ვ) განაცხადები კმაყოფილდება კურსის და განაცხადის გაკეთების რიგითობის გათვალისწინებით. ამასთან, განაცხადის მოცულობა არავითარ გავლენას არ ახდენს მათი შესრულების თანამიმდევრობაზე.

ზ) განაცხადის გაკეთების დროის მიუხედავად ხელსაყრელი კურსის (გაყიდვაზე-დაბალი და ყიდვაზე-მაღალი კურსი) მქონე განაცხადი კმაყოფილდება უფრო ადრე, ვიდრე ნაკლებად ხელსაყრელი კურსის მქონე.

თ) კურსთა ტოლობის შემთხვევაში პირველ რიგში უფრო ადრე გაკეთებული განაცხადი კმაყოფილდება.

ი) გარიგება ყოველთვის დაიდება იმ განაცხადის ფასით, რომელიც პირველი დგას რიგში, უკეთესი კურსის გათვალისწინებით.

ლ) დილერის ნებისმიერი განაცხადი შეიძლება მოხსნილი იყოს (ამოღებული იქნას სისტემიდან) თვით ამ დილერის მიერ, თუ ამ დროისათვის ეს განაცხადი დაკმაყოფილებული არ არის.

მ) დაუშვებელია სავაჭრო სისტემაში ერთი და იგივე დილერის მიერ ერთდროულად ორი ურთიერთთავსებადი საპირისპირო განაცხადების წარმოდგენა ერთდაიგივე კურსით.

* მოცემული წესი კრძალავს `თავის თავთან` გარიგების დადებას;

* ამასთან, დაშვებულია ორმხრივი კოტირების ჩვენება ყიდვაზე და გაყიდვაზე განაცხადების სახით ობიექტურად განსხვავებული კურსების დაფიქსირებით;

4.7. თბსბ-ის სავაჭრო სისტემაში რეგისტრირებული გარიგებების შესაბამისად თბსბ-ის სავაჭრო და საანგარიშსწორებო განყოფილება ახორციელებს ანგარიშსწორებას საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოში საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენით, მონაწილე ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით.

4.8. დაშვებულია წევრი-ბანკების მხრიდან შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე ბანკებს შორის ანგარიშსწორება განხორციელდეს საზღვარგარეთის ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო (ნოსტრო) ანგარიშების მეშვეობით, ანგარიშსწორების დადგენილ ვადაში.

4.9. ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ვალუტის კურსის დადგენის სხვა მეთოდების გამოყენება. შესაბამისად, ცვლილებები წინასწარ იქნება შეთანხმებული წევრ-ბანკებთან;

4.10. სავაჭრო სისტემაში გარიგების რეგისტრაციის შემდეგ ვაჭრობის მონაწილეს

შეუძლია ამობეჭდოს გარიგების რეგისტრაციის ფორმა, რომელიც წარმოადგენს გარიგების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამასთან, გარიგება ყველა პირობების გათვალისწინებით ინახება სისტემის საინფორმაციო ბაზაში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ამობეჭდილ იქნას და დამოწმდეს თბსბ-ის ბეჭდითა და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. განაცხადის (ლოტის) მოცულობა უნდა იყოს 1000 პირობითი ერთეულის ჯერადი.

საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია აუცილებლად უნდა დამოწმდეს თბსბ-ის გენერალური დირექტორის, ან გენერალური დირექტორის მოადგილის და სავაჭრო და საანგარიშსწორებო განყოფილების უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. აღნიშნულ დოკუმენტს არ ახლავს გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

4.11 საბირჟო ვაჭრობის ყველა მონაწილე გარიგების რეგისტრაციის შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს საკომისიო გასამრჯელო, რომლის ოდენობასა და გადახდის წესებს ადგენს თბსბ-ის ხელმძღვანელობა. გარიგების მხარეები იხდიან საკომისიო გასამრჯელოს ლარში, სავალუტო სახსრების გამყიდველის საკომისიო გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა ლარში წარმოებს ოფიციალური კურსის მიხედვით;

4.12 თბსბ ბანკებისაგან ანგარიშსწორებების უფლების დელეგირების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოში არსებული საბანკო საკორესპოდენტო ანგარიშების მეშვეობით ახორციელებს მის სავალუტო სექციაში რეგისტრირებული სავაჭრო გარიგებების შედეგების ანგარიშსწორებას. ამასთან, ანგარიშსწორება ხორციელდება თ+0 ვადაში (სადაც თ არის ვაჭრობის დღე).

თავი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

51. თბსბ თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მხარეთა მიერ ვაჭრობის წესებისა პირობების დაცვას;

52. აღნიშნულ წესებთან დაკავშირებით საბირჟო ვაჭრობის მონაწილეებს შორის წამოჭრილი ყველა სადაო საკითხი განიხილება ბირჟის დირექტორატის მიერ;

53. ვაჭრობის წესების დაცვა აუცილებელია ვაჭრობის ყველა მონაწილესათვის;

54. ვაჭრობის წესების სისტემატიურად დამრღვევ პირებს თბსბ-ის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის დირექტორატის მიერ ჩამოერთმევათ სავაჭრო სისტემაში ვაჭრობის უფლება.

თავი 6. საჯარიმო სანქციები

გარიგების რეგისტრაციის შემდგომ წინამდებარე წესებით გათვალისწინებულ ვადებში მხარეები ვალდებული არიან მიაწოდონ გარიგებით გათვალისწინებული თანხები.

წინამდებარე წესებით ანგარიშსწორებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე დაზარალებულის სასარგებლოდ იხდის ჯარიმას გარიგების თანხის 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე. თუ ამგვარი დაგვიანება გასცდა 2 (თ +2, სადაც თ არის ვაჭრობის დღე) საბანკო დღეს, მაშინ დამრღვევი მხარე დაზარალებულის სასარგებლოდ იხდის ჯარიმას გარიგების თანხის 5%-ის ოდენობით. გარიგება კი უქმდება და მხარეებს უბრუნდებათ გადახდილი საკომისიო თანხა. გარიგების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი პრეტენზია ბირჟის დირექტორატს უნდა წარედგინოს გარიგების შესრულების საბოლოო ვადის მეორე სამუშაო დღის 12 საათამდე.

თბსბ-ის დირექტორატის მიერ გაცემული განკარგულების საფუძველზე სავაჭრო და საანგარიშსწორებო განყოფილება ახორციელებს საჯარიმო თანხის უაქცეფტო ჩამოწერას დამრღვევი მხარის საკორესპოდენტო ანგარიშიდან და შესაბამისად ჩარიცხვას დაზარალებული მხარეების ანგარიშზე.

**თავი 7. ელექტრონულ სისტემაში გაწევრიანების, ვაჭრობის
მონაწილის და გამორთვის პროცედურა**

შუადღის სავაჭრო სისტემის წევრი ადასტურებს, რომ ეთანხმება წინამდებარე წესების ყველა პუნქტს და იღებს ვალდებულებას შეასრულოს მის მიერ დადებული გარიგებები წესების შესაბამისად. წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი თბსბ-ს აძლევს უფლებას მიმართოს თავის სასარგებლოდ (უაქცეპტო წესის თანახმად) ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან საჯარიმო სანქციების გამოყენების უფლება.

შუადღის სავაჭრო სისტემაში შესასვლელად აბონენტს მიენიჭება ინდივიდუალური კოდი, რომელიც აუცილებელია განაცხადის გაკეთებისა და მოხსნისათვის. მოცემული კოდი ცნობილია მხოლოდ ერთი პასუხისმგებელი პირისათვის. დაუშვებელია კოდის გადაცემა წევრი ბანკის სხვა თანამშრომლებისათვის და მესამე პირებისათვის.

ს.ს. თბსბ-ის გენერალური
დირექტორი

(უ. ხუციშვილი)